საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 22 0000444634

03/05/2022

შპს - კავკასიის უნივერსიტეტის,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების თაობაზე

1.გადაწყვეტილებისმიღებისსამართლებრივისაფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2.აღწერილობითინაწილიდადასაბუთება

2.1. შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 23 აპრილის N102 გადაწყვეტილებით.
2.2. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2022 წლის 21 იანვრის №51507 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა2022წლის15 აპრილს.აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

3.სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს - კავკასიის უნივერსიტეტის ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
2. მიჩნეულ იქნეს, რომ ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება ,,დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით, რომელიც არის ამ გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილი (დანართი №2).
3. საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (0312.1.1);
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 03 მაისის №443804 სხდომის ოქმის №05 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად. (დანართი №3).
5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 03 მაისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებით ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით



დანართი N1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.04.2019,№102
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატასააკაძისქ. 1
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	03.05.2022
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	23.04.2026